პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით

შაბათი, 4 ოქტომბერი 1924 წ.

წელიწადი მეოთხე

ფასი 3 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# წითელი მეომარი

№ 615 1 და 2 ქ. მ. დ. პოლიტ-განების ყოველდღ. გაზეთი

რედაქც. მის. ტფ., ევანგულოვის ქუჩა სახელე ელ. 16

განცხადების ფასი პირველ გვერდზე 40 კაპ.—მეოთხეზე 20 კაპ. ჩერვონეც. ნომპარელის სტრიქონი სამგლოვიარო განცხადება 3 მან. ჩერვ. განცხადებები მორიგ ნომერში მიიღება მხოლოდ 1 საათამდი

## „ხელები შორს ჩინეთისაგან“.

ჩინეთის ამბები დღეს თითქმის ყველამ იცის. ყველამ იცის, რომ 400 მილიონზე მეტ მცხოვრებიან მხარეში ინგლისმა, საფრანგეთმა, ამერიკამ და იაპონიამ დაანთო სამოქალაქო ომის ცეცხლი.

თვითეული გუბერნატორი იქ მზათ არის მთელი ძალა, რომელიც კი იმყოფება მის განკარგულებაში, აამუშაოს მოპირდაპირის საწინააღმდეგოდ.

დიდი დომხალია დღეს ჩინეთში. ძნელია გარკვევა იქ მიმდინარე ამბებში; მით უფრო რომ ერთი-მეორეს წამგვანებული სახელები ძნელად ემორჩილებიან დამახსოვრებას.

მაგრამ რაც კი არ უნდა იყოს, ერთი ყველასთვის ცხადია.

იქ დღეს ორი ძალა არის დაპირისპირებული. ერთი მხრით არის იმპერიალისტების დამცველი ცაოკუნი და მისი გენერლები, მეორეს მხრით სუნ-იატ-სენი და მისი მომხრენი.

ცაო-კუნი ვაჭარია.

მომხრე ხალხის გაყვლეფის და დაბეჩავების. იგი ხელს უწყობს ჩინელ მდიდრების თავაღებულ ცხოვრებას. იგი ხელს უმართავს სხვა ქვეყნის იმპერიალისტებს და მდიდრებს ჩინეთის ახალშენად ქცნაში.

ან რა ენაღვლება მას?

განა მდიდრები რას წააგებენ?

არაფერს. იკითხოს ღარიბმა ხალხმა. მათ საკუთარი მემამულეებიც ეყოფათ. ამათ კიდევ საზღვარ გარეთელი ემატება. ასეთ გაჭირვებაში სული ამოხდება ხალხს მაშ კარგი რა მოუვა.

მეორე ძალა სუნ-იატ-სენი არის. იგი ნაციონალურ მოძრაობის მომხრეა. იგი წინააღმდეგია, როგორც გარეშე, ისე შინაგან იმპერიალიზმის მეფობის და ბატონობის.

თავისთავად ცხადია სიმპატია ღარიბი ხალხისა სუნ-იატ-სენის მხარეზეა.

ჩვენც უეჭველად სუნ-იატ-სენის გამარჯვების მოწადილენი უნდა ვიყვეთ.

არ შეიძლება არც ერთი ერის დაჩაგვრა და დამონავება.

ევროპის და ამერიკის ბურჟუაზიას კბილები უნდა მოტეხოს მსოფლიო პროლეტარიატმა ამ მსუნაგ განზრახვებისათვის.

მსოფლიო იმპერიალიზმი სუნ-იატსენის მოწინააღმდეგეთ ეხმარება თოფითა და მახვილით, აწვდის მათ ფულს, იარაღს და სხვა.

ამით მათ სურთ ხალხოსნური მოძრაობა ჩინეთისა ჩააქრონ; გამეფდენ თითონ იქ. ეს კი რას მოასწავებს?

ეს იმას მოასწავებს, რომ ჩინეთი შეიქმნეს ბუდეთ ისეთი ოხრებისა, როგორც ინგლისის, საფრანგეთის და ამერიკის მართველნი არიან.

ეს ვაჟბატონები ჯერ თავის ქვეყნიდან არ აძლევენ საბჭოთა კავშირს მოსვენებას.

წამდაუწუმ უჩუჩხურებენ მას. და რა იქნება თუ რომ მათ საწადელს მიახწიეს და ჩინელი ღარიბი ხალხის ძვლებზე შავი დროშა აღმართეს.

ეს არის მათი სურვილი და წადილი. ყველა ჯურის იმპერიალისტებს არა მარტო ჩინეთი აინტერესებსთ, როგორც ახალშენი, არამედ მათ შიშის ზარსა გვრის წითელი ქვეყანა-საბჭოთა კავშირი.

მათი გამარჯვება ჩინეთში მოასწავებს არა მარტო ჩინელ მუშებზე გამარჯვებას.

იგი გამარჯვება იქნება მსოფლიო პროლეტარიატზე.

ამიტომ ჩვენი მოვალეობაა მუშური ყრონტით ისე ხმა მაღლა შევსძახოთ ამ ვერაგებს: **„ხელები შორს ჩინეთისაგან“**, რომ შეშინებულმა სული განუტევოს.

საბჭოთა კავშირის სხვა და სხვა მხარეებში უკვე დაარსდა ასეთი საზოგადოებანი.

ჩვენი ვალია ჩვენც ასეთი დავარსოთ.

მართალია ჩვენი ორი-სამი გროში კი ვერაფერს იზამს, მაგრამ გროშებზე მეტი ძალა ჩვენს ხმას და თქმას აქვს.

**„ხელები შორს ჩინეთისაგან“**, აი ჩვენი მრისხანე თქმა.

## ინგლისის პარლამენტის ახალ არჩევნების მოლოდინში

### „მუშებმა უნდა ემზადონ ახალი არჩევნებისათვის“.

„დეილი გერალდი“ მოწინავეში ეხება მდგომარეობას, როგორიც შექმნა მთავრობისადმი საყვედურის რეზოლიუციამ. ამ რეზოლიუცია კონსერვატორები შეიტანენ თემთა პალატაში მომავალ კვირაში.

შესახებ პარლამენტის ლიბერალურ ფრაქციის დადგენილების მხარი დაუჭირონ კონსერვატორების რეზოლიუციის და პროტესტი გააცხადონ ინგლის-საბჭოთა ხელშეკრულების წინააღმდეგ, „დეილი გერალდი„ აცხადებს, რომ მუშებმა უნდა ემზადონ ახალი არჩევნებისათვის“.

„დეილი გერალდის“ პოლიტიკური კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ ვინაიდან ლიბერალურ-კონსერვატიულ წრეები ანგარიშს უწევენ ინგლის-საბჭოთა ხელშეკრულების მნიშვნელობის გაგებას ფართე მასებში, ამიტომ ორივე პარტია სცდილობს ჩამოაგდოს მთავრობა, რომელიც ჩასციებია ისეთ საკითხს, რომელსაც უფრო ნაკლები მნიშვნელობა აქვთ, სახელდობრ-საკითხს კემპბელის შესახებ.

# რადიო-დეპეშები.

## ლენინგრადის წყალდიდობის შესახებ.

### მუშაობა აღდგენისათვის.

11 მილიონი მანეთიდან, რომელიც მიღებულ იქნება ლენინგრადის აღსადგენად, დიდი უმეტესობა მოხმარდება ლენინგრადის კომუნალურ მეურნეობის დაწესებულებების აღდგენას და დანარჩენი წავა სახალხო განათლებისა და ქალაქის ჯანმრთელობის დაწესებულებათა სასარგებლოდ.

რაც შეეხება სამრეწველოებს, მათ მიეცემათ კრედიტი 6 თვით.

საზოგადოება „სტარი პეტერბურგ“-მა (ძველი პეტერბურგი) მობილიზაცია უყო მთელ თავის წევრებს ლენინგრადის აღდგენის საქმეში სამუშაოდ.

პირველ რიგში შეკეთებულ და გასწორებული იქნება წყალ დიდობით გაფუჭებული ყველა ძეგლები.

## დახმარება ბაშკირიის რესპუბლიკისაგან.

ბაშკირიის რესპუბლიკის ცაკმა და სახკომსაბჭომ დაადგინა გაუგზავნოს ლენინგრადს 10.000 ფუთი პური.

## ერთა ლიგაში.

### საკითხი განიარაღებისა და უზრუნველყოფის შესახებ.

ოთხშაბათს ერთა-ლიგაში დაიწყო კამათი სამედიატორო სასამართლოს გარშემო და ურთიერთ გარანტიის შესახებ უზრუნველყოფისა და განიარაღების საქმეში.

საბერძნეთის წარმომადგენელმა პოლიტისმა აღნიშნა, რომ იმ პრინციპების თანახმად, რომელიც საფუძვლად დაედო ერთა ლიგას, ყოველი ომი, გარდა მოგერიებითისა დაუშვებელია და წარმოადგენს საერთაშორის ბოროტებას, რომელსაც მოსდევს დამსჯელი ზომები.

ბენეშმა განაცხადა, როა ჩეხოსლოვაკიამ უნდა მოაწეროს და დაამტკიცოს ოქმი.

ბრიანი ამტკიცებდა, რომ სახელმწიფოების აზრი ოქმის სასარგებლოდ გამოიწვევს საერთო აღფრთოვანებას.

### ის კი „გამბედავია“

ბელგიის სოციალისტმა დე-ბრუკერმა განაცხადა, რომ ევროპას „არ ყოფნის გამბედაობა აშკარად დააყენოს საკითხი ბოლშევიკების შესახებო“.

დე-ბრუკერი იცავს ერთიან ევროპის ფრონტს საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ და იმედი აქვს ინგლის-საფრანგეთის საერთო გამოსვლებისა და საზოგადოებრივი აზრის მხრივ ძალდატანებისა საქართველოს საკითხში.

### ესტონეთის მთავრობის თხოვნა.

ესტონეთის მთავრობამ მიმართა ერთა ლიგას თხოვნით დანიშნოს კომისარი ესტონეთის ეკონომიური მდგომარეობის გამოსარკვევად.

### პლენუმის მუშაობა.

ერთა ლიგის ყველა დელეგატებმა მხარი დაუჭირეს ოქმის მიღებას საარბიტრაჟო გარანტიის შესახებ.

გადაწყდა წინადადება მიეცეს ერთა ლიგას ტეხნიკურად მოაწყონ კონფერენციის მოწვევა განიარაღების შესახებ.

სესიის დახურვის წინ თავმჯდომარე მოტამ განაცხადა რომ 10 სახელმწიფომ უკვე მოაწერეს ოქმსო და გამოაცხადა ერთა ლიგის პლენუმის სესია დახურულად.

## მუშათა მოძრაობა.

### კიდევ რეფორმისტული „მახინაციები“.

საფრანგეთის სამთო-მადნო მუშათა გაფიცვას საფრთხე მოელის ჩაშლის სახით, რასაც ხელს უწყობენ რეფორმისტი ბელადები, რომლებიც დახმარებას უწევენ მეპატრონეებს.

მუშათა დელეგაცია მოითხოვს გარჩეულ იქნას საქმე სამედიატორო სასამართლოს გზით.

მაგრამ მეპატრონეებმა უარი განაცხადეს და მიმართეს შრომის მინისტრს ჩაერიოს საქმეში.

### დაპატიმრება.

ეხლახან იურიევში (ესტონეთში) აღმოაჩინეს არალეგალური ახალგაზდური ორგანიზაცია, დააპატიმრეს 33 კაცი.

### „სახელმწიფოს საწინააღმდეგო სიტყვებისათვის“.

რეველის სამხედრო სასამართლომ მიუსაჯა 5 მუშას კატორღა 8-დან 10 წლამდი. მათ ბრალდებოდა „სახელმწიფოს საწინააღმდეგო აგიტაცია“ მუშათა კრებებზე.

### პროფმოძრაობის მთლიანობისათვის.

**პარიზი.** სამთო-მადნო მუშათა გაერთიანებულმა ბიურომ მიმართა რეფორმისტულ მუშათა კონფერენციას შეუერთდენ საერთაშორისო უნიტარულ კონფედერაციას და მოსთხოვონ ამსტერდამს კონგრესის მოწვევა პროფინტერთან გაერთიანების მიზნით.

## პოლონეთი.

### პოლონეთის განაპირა ადგილები დელავს.

### აუტანელი უღელი.

უკანასკნელ ხანებში მასიურად გადმოდიან პოლონეთიდან საბჭოთა ბელორუსიაში მუშები და გლეხები.

პოლონეთში უმაგალითო უმუშევრობაა. წარმოება ეცემა. იხურება ფაბრიკა-ქარხნები. მუშები ქუჩის ანაბარად ხდებიან. მუშები უმნიშვნელო ხელფასს იღებენ.

გამეფებულია აუტანელი პოლიტიკური და ნაციონალური ჩაგვრა.

ბელორუსიისა და ებრაელთა ახალგაზრდობისათვის დახურულია სკოლის კარები.

ბელორუსიის გლეხობა და ებრაელი მუშები აღფრთოვანებით ხვდებიან ცნობებს საბჭოთა ხელისუფლების ნაციონალურ პოლიტიკის შესახებ.

# გერმანია და ანტანტა.

## საფრანგეთ-გერმანიის სავაჭრო მოლაპარაკება.

დაიწყო მოლაპარაკება საფრანგეთსა და გერმანიას შორის სავაჭრო ხელშეკრულების შესახებ.

## წინააღმდეგ გერმანიის შესვლისა ერთა ლიგაში.

გერმანიის ხელმძღვანელ პოლიტიკური წრეები უკმაყოფილო არიან ერთა ლიგის დადგენილებით სამხედრო კანტროლის შესახებ გერმანიაზე,

მთავრობის სფეროებში კვლავ გაძლიერდა მიმართულება გერმანიის შესვლის წინააღმდეგ ერთა ლიგაში.

## სახალხო პარტიის ორგანიზაცია დოუესის გეგმის შესახებ.

ბერლინის ოლქის სახალხო პარტიის ორგანიზაციის კრებაზე იმპერიის სახალხო მეურნეობის მინისტრმა რაუშერმა განაცხადა, რომ „დოუესის გეგმა მთელი მსოფლიოს საზრუნავ სიმძიმეს აკისრებს გერმანიას“

დოუესის გეგმა უნდა იქნეს მიღებული, მაგრამ მისი შესრულება შეუძლებელია გერმანიისათვის. ამ გეგმის გასახორციელებლად გერმანიამ უნდა გადადოს თავისი პროდუქცია 2 ჯერ მეტად და შემოიღოს 14 საათის სამუშაო დღე. თუ გერმანიიდან გატანილ საქონლის ფასი ავიდა 11 მილიარდამდი, მაშინ ის გაუთანასწორდება ამერიკის ექსპორტს (საქონლის გატანას) და მეტი იქნება ინგლისისაზე. ეს გარემოება ააყაყანებს მთელ ქვეყანას და მორთავენ ყვირილს გერმანიის კონკურენციაზე, რაიც თავის დროზე ერთი უმთავრესი მიზეზი იყო მსოფლიო ომში.

დოუესის გეგმა, რაუშერის სიტყვით, არ არის საბოლოო, ის უნდა იქნას შეფასებული როგორც ნაბიჯი მსოფლიო ეკონომიური სადაო საკითხების გადასაჭრელად. მეორე ნაბიჯი იქნება საერთაშორისო ვალების მოგვარება.

## სპირტეულის საიდუმლო მზადება უკრაინაში.

უკრაინის ფინანსიურ-ეკონომიურმა ბიურომ მოისმინა მოხსენება იმ ზარალის შესახებ, რომელიც გამოიწვია სპირტეულის ხდამ საიდუმლოდ.

გასულ წელს უკრაინაში აღმოჩენილ იქნა 36.000 სპირტეულის საიდუმლოდ დამზადებელი კერა.

საშუალოდ ერთი კერა მოდიოდა 75 კაცზე.

მიმდინარე წლის პირველ 7 თვის განმავლობაში აღრიცხული იქნა 50.000 კერაზე მეტი, ე. ი. 1 ნახევარჯერ მეტი გასულ წელზე.

ამისათვის უკრაინას ეხარჯება 3 ნახ. მილიონი ფუთი პური.

თათბირზე აღნიშნულ იქნა ზღაპრული ზრდა სპირტის მზადებისა უკრაინაში.

თათბირმა საჭიროდ სცნო გადაჭრილი ზომების მიღება ამ მოვლენის აღმოსაფხვრელად.

# საბჭოთა ფედერაციაში

## ამნისტია თეთრგვარდიელებს.

საბჭოთა კავშირში ჩამოვიდა 300 კაცი გენერალ ვრანგელის ჯარში ნამსახური, რომლებმაც დამარცხების შემდეგ უცხოეთს შეაფარეს თავი.

ისინი მსახურობდენ საფრანგეთისა და ინგლისის დამსჯელ კორპუსებში, რომლებმაც ჩააქრეს აჯანყებები ალჟირში, ტუნისში და სხვა კალონიებში.

უკანასკნელ ხანებში მინსკით საბჭოთა კავშირში ამნისტიის ძალით შემოვიდა 1.200-ზე .მეტი თეთრგვარდიელი.

## საწარმოო თათბირები.

შრომის ნაყოფიერების გადიდების ლოზუნგმა ცოცხალი გამოძახილი ჰპოვა ეკატერინოსლავის მუშათა შორის.

საწარმოო თათბირები გაძლიერებით სწარმოებენ ყველა ქარხნებში.

## შრომისა და თავდაცვის საბჭოს დადგენილება ტერნაწილებში გაწვეულთა შესახებ.

საბჭოთა კავშირის შრომისა და თავდაცვის საბჭომ დაადგინა:

„მუშებსა და გლეხებს, რომლებიც გაიწვევიან წ. არმიის ტერიტორიალურ ნაწილებში, მთელი სამსახურში ყოფნის დროს ენახებათ თანამდებობა და სამსახურის ადგილი უჯამაგიროდ.

გაწვევის დროს ისინი ღებულობენ ორი კვირის დახმარებას სამსახურიდან

ის მოქალაქეები, რომლებიც ირიცხებოდენ გაწვევამდე შრომის ბირჟაში, გაწვევის დროს მოიხსნებიან ბირჟიდან მომზადების გათავებამდე, ხოლო მერმედ კი აღდგენილ იქნებიან თავის რიგში და რიგს გარეშე გაიგზავნებიან სამუშაოზე, თუ რიგი მოუწია სწავლეიის გავლის დროს.

უმუშევრებს, რომლებიც იღებენ დახმარებას, გაწვევის დროს ეხსნებათ ასეთი სამსახურის გავლამდის.

დაზღვეულთა ოჯახები იღებენ დამატებითი დახმარებას მთელი სწავლების ვადის გასვლამდი.

# ადგილობრივი ცნობები.

## საზოგადოებაში „ხელები შორს“ ჩინეთისაგან.

ბორჯომის ახალგაზრდათა კომკავშირმა დაადგინა შევიდეს საზოგადოებაში-„ხელებ შორს ჩინეთისაგან.

## აფხაზეთის ცაკისა და სახკომსაბჭოს მოწოდება.

აფხაზეთის ცაკმა და სახკომსაბჭომ მოწოდებით მიმართა მენშევიკების ავანტიურაში მონაწილეთ და აღუთქვა პატიება და ცოდვების გაწყება ყველა იმათ, ვინც კი ორი კვირაში გამოცხადდება ნება ყოფლობით და დაუბრუნდება მშვიდობიან ცხოვრებას.

რაც შეეხება იმ პირებს, როგ., მაგალითად, ნიკო ზვანბაია, ყარამან ზვაიბაია, პიცხული ზვანბაია, ბაგრატ აქირტავა, იასონ მარღანია და გიგა შერვაშიძე, როგორც მეტი დამნაშავეები მშრომელთა წინაშე, უნდა თავის ნებით გამოცხადდენ სასამართლოში. წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი გამოცხადებული იქნებიან კანონის გარეშე.

# წითელ ყაზარმის ცხოვრების სამი ძირითადი მომენტი.

დღეს ჩვენი წითელი ყაზარმის ცხოვრებას სამი ძირითადი მომენტი ახასიათებს, რომელიც გაშუქებას საჭიროებს, რომ მეთაურებმა და პოლიტ-ხელებმა ყოველ-დღიურ მუშაობაში გაითვალისწინან ეს გარემოებანი.

წითელი არმია არის მუდმივი და უცვლელი დავის განვითარების პროცესში, მაგრამ ის რაც ხდება დღეს, გვავიწყებს დროებით შორეულს, რადგან ჩვენ ყურადღებას იპყრობს დღევანდელი სინამდვილე, რომ შორეული მიზანი იქნეს შესისხორცებული და სინამდვილეთ ქცეული.

ამას უფრო ის გვაიძულებს, რომ ჯერ კიდევ გარშემორტყმული ვართ იმპერიალისტური სახელმწიფოების რკინის სალტით და თავის მოქმედებაში ჩვენ ვეყრდნობით უმეტესათ ჩვენს შინაურ ძალთა განწყობილებას,—პოლიტიკურ და ეკონომიურ მდგომარეობას.

წითელ ყაზარმის არა მარტო ძირითადი ეპიზოდები საჭიიროებენ ყურადღებას, არამედ წვრილმანებიც.

წ. არმია არ არის ძველებური სამხედრო კასტა რომელიც მხოლოთ სამხედრო საქმეების ვიწრო შეხედულებით ინტერესდებოდა, არამედ ის არის იმავე დროს მებრძოლიც და აღმშენებელიც.

მას აქვს მჭიდრო კავშირი მუშებთან და მშრომელ გლეხობასთან. ამისათვის მისი ყურადღება უნდა იყვეს მიქცეული არა მარტო საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკურ-ეკონომიურ ღონისძიებათა გასაგებად და გასატარებლად, არამედ მუშა და გლეხობასთან დაკავშირების საკითხისაკენ, რომელიც დაშორებულია ყაზარმას გეოგრაფიულ მიზეზების გამო და არ აქვს არავითარი წარმოდგენა წითელ-ყაზარმაზე და თუ აქვს, ისიც ბრუნდი.

შემდეგ სამ მომენტს უნდა მიექცეს დიდი ყურადღება წითელ მეთაურის პოლიტ-მომუშავეების და მთელი მუშურ-გლეხური მასების მხრივ.

დღეს ამის გათვალისწინება მით უფრო საჭიროა, რომ უკვე მიდიან წითელ ყაზარმიდან—კომუნიზმის სკოლიდან, უვადო შვებულებაში არა ერთი და ორი წითელი არმიელი, და მეორეს მხრივ მათ მაგიერ ამ მოკლე ხანში მოვლენ წითელი ლაშქრის რიგების შესავსებათ ახალწვეულები.

და მესამედ, სულ ამ მოკლე ხნის წინ მოვიდენ ახალი წითელი მეთაურები ნაწილებში.

უვადო შვებულებაში—მიმავალი წითელ-არმიელები გაიფანტებიან საქართველოს ყველა კუთხეებში, ისინი მივლენ იქ როგორ ახალი ძალა და შეიტანებენ სიცოცხლეს და უნარიანობას სოფლის საბჭოთა აღმშენებლობაში.

წითელ ყაზარმიდან გლეხის შვილი წავიდა წერაკითხვის მცოდნე, პოლიტიკურათ ცოტათ თუ ბევრათ მომზადებული, საკმაოთ გათვითცნობიერებული ახალი ცხოვრების ფუძეს ჩაყრის საქმეში და ეს უნდა იქნეს გამოყენებული ადგილობრივ, როგორც მათის მხრით, აგრეთვე პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში მომუშავე ამხანაგების მიერ. მათი ცოდნა უნდა გადაეცეს სოფლების ფართე გლეხურ მასებს.

ოქტომბრის რევოლიუციის გამტარებელი სოფლად იყო ფრონტიდან დაბრუნებული ჯარის კაცები.

დღეს ჩვენი წითელ არმიელები უნდა გახდნენ გადამცემი სოფლის მცხოვრებლებზე მუშათა და გლეხთა მასების კავშირის აუცილებლობის იდეების, და მით ხელის შემწყობი საბჭოთა ხელის უფლების განმტკიცებაში.

მით უნდა დაანახონ ჩვენი სოფლის დაბალ საფეხურზე მდგომ ამხანაგებს ჩვენი მტრების ნამდვილი სახე პოლიტიკური აგიტაციის და პრაქტიკული მუშაობით. მათ უნდა დაუმტკიცონ რომ ერთად-ერთი ხელისუფლება, რომელიც მუშათა და გლეხთა ინტერესებს იცავს, მხოლოდ, საბჭოთა ხელის უფლებაა. მათ უნდა პირბაპე ახადონ მენშევიკების, ნაციონალ დემოკრატების დსხრე. პარტიების მოქმედებას, მათი გამცემლობა მუშათა კლასის მიმართ, მუშური და გლეხური მასები ჩამოაშოროს მათ, თუ სადმე ჯერ კიდევ დარჩენილა თითო-ოროლა პირები, რომლებსაც კიდევ ვერ შეუგნია მენშევიკების ავანტიურისტული ბუნება.

ამასთან ერთად მათ უნდა დაეხმარონ გლეხებს საბჭოთა აღმშენებლობაში, კოოპერატივის დაარსებაში, სკოლების, წიგნთ საცავ-სამკითხველოების აგებაში და სხ. მრავალ საქმეებში. ერთი სიტყვით ჩვენი წითელ არმიელი წავა თუ არა სახლში უნდა ფიქრობდეს თუ რით, როგორი გზით, უფრო შეიძლება გაუმჯობესდეს გლეხის მდგომარეობა, როგორ დაუახლოვოს ის ქალაქის ძმა-მუშებს.

წითელ არმიელს უნდა ახსოვდეს, რომ ჩვენ ჯერ კიდევ ბევრი მტრები გვყავს. მენშევიკებს არ ძინავთ, თავად აზნაურობა მიწის წართმევას ლამობს იმათგან ვისაც მიწა გადასცა საბჭოთა ხელისუფლებამ, კაპიტალისტები ფაბრიკა ქარხნების მუშების სახელმწიფოს ხელიდან გამოგლეჯას ფიქრობენ, ამას გარდა გარედანაც ბევრი მტრები გვყავს. თუ საჭიროება მოითხოვს მან ისევ, წითელ არმიის რიგებში უნდა ჩადგეს მუშათა და გლეხთა ინტერესების დასაცავათ. ამასთან ერთად უნდა ეცადოს მიიმხროს მთელი გლეხური ახალგაზრდობა და მათთან ერთად წითელი არმიის რიგები შეავსოს.

დღეს უვადო შვებულებაში მიმავალი წითელი არმიელი ის არ არის რაც ის მოსვლისას იყო. მან ბევრი რამ გაიგო, ბევრიც ნახა თავისი თვალით ჩვენი მტრების უკანას კელი ავანტიურის დროს. მან მიიღო პირდაპირი მონაწილეობა ბანდიტების წინააღმდეგ ბრძოლაში. მან თავის თვალით დაინახა, რომ პირველ დღესვე მენშევიკების გამარჯვებისა ამა თუ იმ სოფელში თავათაზნაურობამ მიწებს და სახლებს დაეპატრონონ, საიდანაც ერეკებოდენ ღარიბ მცხოვრებლებს გარეთ. ყველა ეს უნდა გააცნონ იმ ამხანაგებს, რომლებმაც მათ მაგიერ უნდა შეავსონ წითელი ლაშქრის რიგები. მათ უნდა უთხრან სოფლის ახალგაზრდობას, რომ არავითარი საერთო ძველ მენშევიკურ ყაზარმასთან არ აქვს დღევანდელ ჩვენს წითელ ყაზარმას, იქიდან გამოდიან ბურჟუაზიის, მემამულეებს და თავად-აზნაურების ინტერესების დამცველებად, აქ კი გლეხების და მუშების ინტერესების მებრძოლად.

ძველი მენშევიკური და მეფის ყაზარმა ემსახურებოდა მონობის განმტკიცებას. დღევანდელი ყაზარმა კი ემსახურება მუშათა კლასის ზურგიდან მონობის უღლის გადაგდების საქმეს.

დღევანდელი ჩვენი ყაზარმა არის სკოლა, სადაც სწავლობენ და ვითარდებიან გლეხის და მუშის შვილები, სადაც იძენენ ფიზიკურ ჯანმრთელობას და საღ გონებას.

არც ერთი ეს ძველ ყაზარმას არ ახსოვს.

აი რა დიდი განსხვავებაა ძველ და ახალ ყაზარმას შორის.

ყველა ეს უვადო შვებულებაში მიმავალმა წითელ-არმიელმა უნდა გადასცეს სოფლის მცხოვრებთ, ახალგაზრდობას, მათ მშობლებს, რომ არც ერთი მათგანი ვინც უნდა მათი ადვილი დაიკავოს, და წითელ-არმიის რიგები შეავსოს არ დარჩეს წითელ ყაზარმის გარეშე.

მეორე ეს არის ახალ-წვეულთა მოსვლა წითელ ჯარში.

აქ ჩვენი ძალები უნდა დავსპიმოთ და შევქმნათ ისეთი პირობები ჩვენი ახალწვეულებისათვის, რომ მათ თავი აქ უკეთ იგრძნონ ვიდრე თავის საკუთარ ოჯახში; მათზე ზრუნვა, ამხანაგური ალერსით მოპყრობა, მათ მდგომარეობაზე საუბარი, ოჯახური და სკოლის ცხოვრების ამბების გამოკითხვა, მათი ჭირ-ვარამის გაზიარება მისცემს საშვალებას თავი იგრძნოს თავის საკუთარ წრეში და გაამხნევებს მათ ყოველივე საქმეში რაც კი საჭიროა წითელი მხედრობისათვის; ახსნა-განმარტება მისი დანიშნულების წითელი ყაზარმის მნიშვნელობის, დეზერტირობის შესახებ—თუ რა დანაშაულს იდენენ მუშების და გლეხების მიმართ, ვინც წითელი ლაშქრის რიგებს აკლდება შეგნებულად თუ შეუგნებლად, ყველა ეს წარმოადგენს აუცილებულ პირობას ნაყოფიერ მუშაობის სასურველ ატმოსფერის შექმნისათვის.

(დასასრული შემდეგ №-ში.)

ბ. სიხარულიძე.




## მესამე ასეული იმედებს ამართლებს.

ქართულ გაერთიანებულ მეთაურთა სკოლის მესამე ასეულს ერთი წლის ისტორია აქვს. პირველ ხანებში დიდი მუშაობა იყო საჭირო ასეულში, რომ სხვა ასეულებს როგორმე წამოსწეოდა.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იქნებოდა თუ ლენინის კუთხეს მოვაწესრიგებდით, რადგან მთელი კულტურული და პოლიტიკური საქმიანობა აქ იშლება.

ეს საქმე ღირსეულად იქნა შესრულებული. რადგან კურსანტებთან ერთად იყვენ უფშემადგენლობაც.

საკუთარი გროშებით, რომელსაც თითეული კურსანტი და უფროსი სდებდა ყოველთვიურად თავის ჯამაგირებიდან და ამ საერთო წვლილით თანდათანობით ვალამაზებდით ჩვენს წითელ კუთხეს.

კუთხეში მოიპოებოდა ყოველ გვარი ჟურნალ-გაზეთები, საუცხოვოდ შესრულებული პლაკატები და სხვა.

ამ ჟამად სულ სხვა გეზი აქვს აღებული ჩვენი კუთხის მომწყობ კომისიას.

ახალმა კომისიამ ახალი სული შეიტანა კითხეში.

მუშაობას, რომელშიდაც ჩაბმულია ასეულის ყველა კურსანტები, ხელმძღვანელობენ ამხ. ამხ. შელია და ჩაგანავა.

წარსულთან შედარებით ამ ჟამად დიდი ნაბიჯია გადადგმული კუთხეში.

აქ თქვენ ყველაფერს ნახავთ. გვაქვს სხვა და სხვა ჟურნალ-გაზეთები, ყოველ გვარი წიგნები, პლაკატები, სურათები. კუთხე დაყოფილია ამასთანავე სხვა და სხვა დარგში სამეცადინო კუთხეებათ. ასეთი წესრიგი და სისუფთავე ძლიერ იზიდავს კურსანტებს. ყოველთვის, თითეული თავისუფალი წუთი ტყვილა არ ცდება, კუთხეში ვართ და ვმეცადინეობთ.

მესამე ასეულის კურსანტები დიდ მადლობას უცხადებთ ყველა იმ ამხანაგებს და მათ შორის ამხ. ამხ. ჩაგანავას და თელიას, რომლებიც ენერგიულად ეკიდებიან საერთო საქმეს.

ლ. ჭელიძე.

## პირველი ლეგიონის ცხოვრებიდან.

**სამხედრო საქმის წარმოება.**

ჯერ კიდევ სანამ ჩვენ საბანაკოთ გავიდოდით, მანამ ახალ წვეული წითელ მოლაშქრეებმა წყობილებაში ფეხით სიარული ცოტათ თუ ბევრათ მაინც შეისწავლეს, მაგრამ ბანაკში გასვლის შემდეგ სამხედრო საქმის წარმოება ლეგიონში კარგ ნიადაგზე დადგა.

ჯერ კიდევ თითქმის სრულებით უსწავლელ წ. არმიელებმა საბანაკო სეზონში შეისწავლეს ყოველივე ის, რაც აუცილებელ საჭიროებას შეადგენს თითეულ მხედრისათვის.

საერთოთ ცოდნის მიღება და გაწვრთნა გამოიხატებოდა: წყობილების შესწავლაში, იარაღის ხმარებაში, სროლაში და მტრებზე იარაღის მტკიცეთ გამოყენებაში.

საგარნიზონო წესების შესწავლაში ყველა ზემოთ ჩამოთვლილ ჩვენმა წითელ მოლაშქრეებმა საუცხოვოთ შეისწავლეს და შეითვისეს. მათი ხელმძღვანელები (სამხკომი, ლეგთავი და უფშემადგენლობა) უმთავრეს ყურადღებას აქცევენ ამ საქმეს.

ერთსულოვანმა მონდომებამ სამხედრო საქმის შესწავლაში საუცხოვო შედეგი გამოიღო.

ამასთან ერთად დიდი ყურადღება ექცეოდა ქიმიის შესწავლას. ბევრი რამ შეითვისეს ჩვენმა არმიელებმა ამ დარგში.

დაგვრჩა ცოტა კიდე შესასწავლი, რომელსაც ამ ზამთრის პერიოდში შევისწავლით და მით გვეყოლება სამხედრო საქმის და სამხედრო ქიმიის მცოდნე პირები.

ს. იმნაიშვილი.

## მეტი წითელ ლაშქრის რიგებში ასეთი მეთაურები.

მე 3-მე ქართულ ტერლეგიონის 1-ლი ასეულს გვყავს ასის თავი ამხ. გიორგი გუბელაძე. მისმა ჩვენდამი მოქცევამ, ჩვენ, წითელ მოლაშქრეებს ნათლად დაგვანახვა, რომ მუშურ-გლეხურ წითელ ლაშქარში ამხანაგური დამოკიდებულების იდეა შესაძლებელია და ფეხს იკიდებს.

საუბედუროთ ეს სამაგალითო ამხანაგი ხელიდან გამოგვტაცეს და აგზავნიან მოსკოვში.

მართალია ძვირფასი ამხანაგისათვის ჩვენ კარგი არ გვეწყინება, მაგრამ მისი დაცილება მაინც ძლიერ გვაღონებს და ვერ შევრიგებივართ იმ ფაქტს, რომ მოგვშორდება ჩვენი ძვირფასი ამხანაგი, ის დასტოვებს მისივე ხელით მოწყობილ ლენინის კუთხეს, სადაც ჩვენ თავისუფალ დროს გაზეთს და წიგნებს ვკითხულობთ და ვისვენებთ.

მან თავისი მუყაითობით 1-ლი ასეულში სამაგალითო სისუფთავე დაამყარა.

მან თავისი ხელით წითელ არმიელებთან ერთად გააკრიალა მაზუთით 1-ლი ასეულის კაზარმა.

ჩვენ გავიგეთ, რომ ის მიდის ქ. მოსკოვში სამხედრო უმაღლეს სასწავლებელში.

ჩვენ 1-ლი ასეულის წითელ-მოლაშქრეენი უსურვებთ მას ენერგიულობას ჩვენი ხელისუფლების საკეთილდღეოდ.

ამხანაგების მონდობილობით

შ—ლი.

## უნდა გაფრთხილოდ.

ჩვენი მესაკრავეთა გუნდი არ ემორჩილება პირველი ლეგიონისადმი გაცემულ ბრძანებას.

სამხკომისა და ლეგთავის ბრძანების თანახმად ლეგიონის ეზოში საწყლე ონკანის (კრანის) აუზში სასტიკად აღკრძალულია ყოველგვარი სიბინძურის ჩაყრა და სხვა და სხვა დასვრილი ჭურჭლეულობის რეცხვა.

ბრძანებისათვის ყურადღება უნდა მიექცია ლეგიონის ყველა გუნდებსა და ასეულებს და მათ შორის მესაკრავეთა გუნდსაც, მაგრამ ამ უკანასკნელის წითელი არმიელები არა თუ თვალყურს ადევნებს, რომ აუზში სისუფთავე იყოს დაცული, არამედ თვით ყრიან შიგ სხვა და სხვა სიბინძურეს და რეცხენ როგორც ტანისამოს, ისე ქაშით დასვრილ ჭურჭლეულობას.



ბატარეიელებმა რამოდენიმეჯერ შევესწარით მესაკრავე გუნდის წითელ არმიელებს ამ სამარცხვინო საქციელზე.

ნუ თუ საკავშიროელებმა ერთხელ ვერ მოჰკრა თვალი მესაკრავეთა ასეთ ქცევას?

რით ავხსნათ ეს უყურადღებობა?

ვაი თუ თვითონაც ასე სჩადიან და სხვას იმიტომ ვერ ამჩნევენ.?

ყოველ შემთხვევაში ბატარეიელებმა გაჯობეთ.

რაც შეეხება მესაკრავეთა გუნდის წითელ არმიელებს, მიეცეს წინადადება დაიცვან სასტიკი სისუფთავე, თორემ გაფრთხილების შემდეგ თუ კიდევ განიმეორებენ თავისას, სხვა ზომებსაც მიიღებენ მათ წინააღმდეგ.

წ. არმ. ს. კინწურაშვილი.

## რათ არის აუცილებელი საჭირო ტერნაწილები?

ათი წლის უკან იმპერიალისტურ ომში იბრძოდა 60 მილიონზე მეტი კაცი.

გაჰყავდათ ყველა სათადარიგოდ გადარიცხულნი მოხუცი ლაშქროსნებიც კი და აგზავნიდნენ მათ ომში მოუმზადებლად. იღუპებოდენ ისინი ათასობით, ვინაიდან მათ არ ესმოდათ სამხედრო საქმე. ასევე შეიძლება მოხდეს მომავალ ომშიაც, თუ რომ ყველა მამაკაცები არ იქნებიან გაწვრთნილი სამხედრო საქმეში, ე. ი არ შეისწავლიან ბრძოლის წესებს.

საბჭოთა ხელისუფლება და ყველა ქვეყნის კომუნისტები სცდილობენ რომ არ მოხდეს ახალი ომი. მაგრამ ყველა კაპიტალისტები ემზადებიან ომისათვის.

ამიტომ ჩვენთვის საჭიროა თავდაცვისათვის დიდი არმია.

მაგრამ ჩვენ რომ მივიღოთ ნამდვილ სამსახურში მილიონობით ადამიანები და ვამყოფოთ ისინი სამ-სამი წელი ყაზარმაში, ამისათვის დიდ-ძალი ფულია საჭირო.

სწორედ ამიტომაა, რომ ჩვენში ყოველი სამხედრო სამსახურისთვის სავარგისი მოქალაქე მოწვეულ იქნება რამოდენიმეჯერ ტერიტორიალურ შეკრებაზე,

მას იწვევენ იმ ნაწილში, რომლებიც იმყოფება მისსავე გუბერნიაში ან მაზრაში. ასეთ შეკრებათა დროს მას შეასწავლიან მთელ სამხედრო საქმეს, ე. ი. წყობილებას, სროლას, ბრძოლის წარმოებასა და სხვას.

მეორედები (განმეორებით მოწვეულნი) სწავლობენ იმისთვის, რათა ასწავლონ ახალგაზრდებს, რათა შემდეგ გახდნენ კომანდირები.

მხოლოდ ამ ნაირად შეიძლება გაწვრთნილ იქნან სამხედრო საქმეში ყველა მამაკაცები და მაშინ მომავალი ომიც არ იქნება ჩვენთვის საშიში.

ჯარის ორგანიზაციის ასეთი წესების დროს ტერიტორიალური ჯარები იქნება ჩვენი კავშირის ყოველ კუთხეში.

სადაც რა არ უნდა მოხდეს, ან და ომის დროს შეიძლება მტრის თვითმფრინავმა გადმოსხას ჯარები ზურგში, ტერნაწილი ყოველგან მოასწრებს შეკრებასა და სათანადო ზომების მიღებას მათ წინააღმდეგ.

ასეთი წესების საშუალებით მსგავს შემთხვევებში ადვილია მობილიზაციის ანუ შეკრების მოხდენა და საბრძოლად მომზადება.

საჭირო არ იქნება გაწვეულების გადაყვანა შორ მანძილზე, როგორც ეს წინად ხდებოდა. ომში ხომ ის გაიმარჯვებს, ვინც ადრე შეიკრიბება და მოემზადება.

ამას გარდა დიდი მნიშვნელობა აქვს კიდევ იმას, რომ ტერნაწილში თავს იყრიან მეზობლები.

აი ყველა ის უპირატესობანი, რომლებიც ახასიათებს ამ ტერიტორიალურ შეკრებას. ეს კიდევ ცოტაა; შეკრება გაცილებით იაფი ჯდება, ვინემ მილიონ მეომართა შენახვა ყაზარმებში ორი-სამი წლით. ხოლო რასაც კა გადავინარჩუნებთ ფულისაგან, მოხმარდება ზარბაზნებს, ტანკებს, თვითფრინავებს და აირებს. ასეთი საბრძოლო საშუალებით და ტერმეომრებით წითელი არმია საიმედო ფარი იქნება საბჭოთა კავშირისათვის.

ივანოვი.

## ჩვენი სამკითხველო.

მეორე ტერ-ლეგიონის ბიბლიოთეკა ერთ სამაგალითოდ უნდა ჩაითვალოს, და ეს განსაკუთრებით ბიბგამგის ტულუშის ენერგიული საქმიანობის შედეგია.

ბიბლიოთეკაში საუცხოვოდ არის დაცული წესრიგი, ჟურნალ-გაზეთები და წიგნებიც საკმაოდ მოიპოება.

ამას გარდა ბიბგამგის ხელმძღვანელობით არსებობს საბიბლიოტეკო წრე.

2 ოქტომბერს შესდგა აღნიშნულ წრის მეცადინეობა. წრეში წითელ არმიელებიც მონაწილეობდენ და მათი დამოკიდებულება ამ საქმისადმი მეტად აქტიურია.

ხშირად წრეში სპეციალ მეცადინეობის შემდეგ იმართება თბილი და მეგობრული საუბარი.

— ჰაი დედასა, სად ვიყავი აქამდე, რომ თვალები არ ავიხილე და ცოტა რამე, აი დაწერვა ან ქაღალდის წაკითხვა არ ვისწავლე!

— ოხერო ჩემო თაო, აკი მეჩიჩინებოდენ, მაგრამ არ ვისწავლე. რა ვიცოდი თუ ასე გამოსადეგარი იყო.

— ეჰ კარგია ერთი, თუ ძმა ხარ რა დროს ეგაა. ეხლა რომ მაგის ჯავრს გამოვეკიდოთ, ხომ ვერას გავაკეთებთ და დრო კიდევ ბევრია, ჩვენი მთავრობა ჩვენთვის სულს არ იშურებს, მოვინდომოთ და ეხლა როცა ვიცით თუ რა ტკბილი ყოფილა ცოდნის შეძენა უფრო ვისწავლით—ამბობს მესამე.

— აბა, ამხანაგებო, წავიდეთ ასეულში, თორემ ბიჭები წავლენ სამეცადინოთ და ჩვენ ჩამოვრჩებით.

— წავიდეთ, წავიდეთ—ატყდა ხმაური და ამხანაგები არმიელები გაეშურენ ასეულებისაკენ.

სა—ვა.

## პირველი ინტერნაციონალის 60 წლის თავი მეორე ტერლეგიონში.

მეორე ტერ-ლეგიონში 27 სექტემბერს შესდგა მთელი შემადგენლობის გაერთიანებული კრება. მოხსენებით პირველი ინტერნაციონალის შესახებ გამოვიდა ლეგიონის სამხკომი ამხ. ბერიძე.

ამხანაგმა ვრცლად გადაგვიშალა პირველი ინტერნაციონალის პრინციპები და მიზნები. ამავე დროს პარალელურად ეხებოდა კომინტერნს და მეორე ინტერნაციონალს. მოხსენების შემდეგ კრებამ გამოიტანა შემდეგი რეზოლიუცია:

მოვისმინეთ რა ამხ. ბერიძის მოხსენება 1-ლი ინტერნაციონალის დაარსებიდან 60 წლის თავის შესრულების შესახებ, ჩვენ მე-2-რე ტერლეგიონის წითელ არმიელები და უფ-პოლიტშემადგენლობა დიდებით ვიხსენიებთ 1-ლი ინტერნაციონალის დამაარსებელს და პარიზის კომუნის გმირებს, რომლებმაც პირველად შესძლეს პროლეტარიატის გაერთიანება ინტერნაციონალურ დროშის ქვეშ.

მე-2-ე ინტერნაციონალი და მისი მესვეურები ვერ აღმოჩნდენ 1-ლი ინტერნაციონალის ღირსეული მემკვიდრეები, რომლებმაც დაუნდობლად უღალატეს 1-ლი ინტერნაციონალის პრინციპებს და ბურჟუაზიას მიყიდეს პროლეტარიატის სასიცოცხლო ინტერესები. მაგრამ ჩვენ ღრმად გვწამს, რომ ჯერ კიდევ ნორჩი ახალი მე-3-ე კომუნისტური ინტერნაციონალის სახით დაცულია პირველი ინტერნაციონალის პრინციპები არა მარტო სიტყვით, არამედ საქმით.

კომინტერნი მედგრად ადგია მსოფლიო პროლეტარიატის გაერთიანების გზას კაპიტალის წინააღმდეგ, რომელსაც დიდი ხანია უღალატა მეორე ინტერნაციონალმა.

გაუმარჯოს 1-ლი ინტერნაციონალის 60 წლის თავს.

ძირს მე-2ე ინტერნაციონალი და მისი ხელმძღვანელები.

გაუმარჯოს 1-ლი ინტერნაციონალის ღირსეულ მემკვიდრეს მსოფლიო პროლეტარიატის რევოლიუციის შტაბს--კომინტერნს.

რეზოლიუცია დაიფარა დამსწრეების მქუხარე ტაშით და ინტერნაციონალის ჰიმნით.

**ლეგიონერი.**

# მეცნიერება და ტექნიკა

### რადიუმის ამოღება.

1923 წლამდე რადიუმის მსოფლიო მარაგი არ აღემატებოდა 1230 გრამს. რადიუმის თითეული გრამი ფასობდა 350.000 მ. ამ უკანასკნელი წლის განმავლობაში დედამიწის სხვა და სხვა კუთხეებში შედარებით დიდი რაოდენობით იქნა მოპოებული ეს მეტად მნიშვნელოვანი ნივთიერება.

აი სტატისტიკური ცნობები იმის შესახებ თუ სად რამდენი რადიუმი იქნა ამოღებული.

მაგალითად კოლორადოში (სამხრეთ ამერიკის მთებში) ამოღებული იქნა 95 გრამი რადიუმი. იოახიმსტალში (იაპონია) 27 გრამი.

რადიუმის საგრძობი რაოდენობა ამოღებული იქნა აგრეთვე სამხრეთ ავსტრალიაში, შემდეგ მარიენბადში (გერმანია) და კუნძულ სუმატრის აღმოსავლეთ ნაპირებზე და ამის შემდეგ კი თურქესტანში (რუსეთი).

რადიუმის მარაგის გადიდებამ წამსვე თავისებური გავლენა მოახდინა მის ღირებულებებზედა.ც ამ ჟამად რადიუმის ერთი მარაგის ღირებულება არ აღემატება 140 000 მან. და თან და თან მცირდება.

რადიუმის შესახებ არა ერთხელ ყოფილა ჩვენი გაზეთის ფურცლებზე აღნიშნული. ეს ისეთი თვისების ლითონია, რომელსაც ახასიათებს თითქმის გამოულეველი სითბოებრივი ენერგია. ამას გარდა რადიუმს დიდი მომავალი აქვს მედიცინაში და ალბად მალე დადგება ისეთი დრო, როდესაც ყველასათვის ხელმისაწდომი შეიქნება მისი საშვალებით აქიმობა.

ჯერ-ჯეობით სამედიცინო მეცნიერებამ ფართო ხასიათი ვერ მისცა მის გამოყენებას. რადგან მართალია მისი საშვალებით შეიძლება სხვა და სხვა ავადმყოფობის მიკრობების განადგურება, მაგრამ ამავე დროს მისი სხივები, ანუ რადიო აქტიური სხივები ძლიერ ცუდათ მოქმედებს ორგანიზმზედაც. რადიუმის სხივები წვავს და ანადგურებს ყველაფერს.

მეცნიერების ამოცანაც იმაში გამოიხატება, რომ რადიუმის სხივებით აქიმობის დროს გამოინახოს ისეთი დოზა, რომ განადგურდეს სხვა და სხვა ავადმყოფობათა მიკრობები და ამავე დროს ორგანიზმს არაფერი დაუშავდეს.

თუ ეს შესძლო მეცნიერებამ, მაშინ უკვე კაცობრიობისათვის აღარ იქნება საშიშარი ისეთი საშინელი სნეულებანი, როგორიც არის ჭლექი, კიბო და სხვა, რომელთა მიკრობები განადგურდებიან მისი სხივებით.

### ფორდის მიღწევები.

ამ უკანასკნელ ხანებში ცნობილ ფორდის ავტომობილების გამნაღდებელი ადგილები გადიდდა 831-ით ამ ჟამად ფორდის ქარხნებიდან გამოსული ავტომობილების შეძენა შეიძლება დედამიწის 9.556 კუთხეებში.

ამერიკის შეერთებულ შტატებში ამ რიცხვის ნახევარზე ნაკლები ადგილებში იყიდება ფორდის ავტომობილები.

რადგანაც ამერიკის ბაზარი ამ უკანასკნელ ხანებში განიცდის მოდუნებას, ფორდმა მთელი თავისი ყურადღება მიაქცია გარეშე ბაზრების ხელში ჩაგდებას.

მაგალითად თქვენ შეგიძლიათ იპოვოთ ფორდის ავტომობილების გამსაღებელ აქციონური საზოგადოებანი: შვეციაში, ჰოლანდიაში, ჩილში (ჩინეთი) სამხრეთ აფრიკაში. მათ შორის ერთ შვეციაში ყოველ თვიურად საღდება 1000 ავტომობილი.

---

# ამბები სოფლებიდან

### ჭაობის ამოშრობა ჯავახეთში.

ახალქალაქის აღმასკომმა დაადგინა დაიწყოს მუშაობა „შავშანაკის“ ჭაობის ამოსაშრობათ და მის ადგილას გააშენოს ბაღჩა.

### სასოფლო ბანკის განყოფილება ახალ ქალაქში.

ახალ-ქალაქის სამაზრო აღმასკომმა შუამდგომლობა აღძრა საქ. ცაკის და სახ. კომ. საბჭოს წინაშე, რათა გახსნილ იქნეს ქალაქ ახალქალაქში საქ. სასოფლო სამეურნეო ბანკის განყოფილება.

### უცოდინარობასთან ბრძოლა აჭარაში.

აჭარის სახ. კომისართა საბჭომ მიანდო ადგილობრივ განათლების კომისარიატს გამოიმუშაოს წერა-კითხვის უცოდინარობასთან მებრძოლი საზოგადოების სამუშაო გეგმა და პროგრამა.

### სესხი გლეხებს გადასახადის შესატანათ.

ახალ-ქალაქის სასოფლო-სამეურნეო გამსესხებელმა ამხანაგობამ შუამდგომლობა აღძრა სასოფლო-სამეურნეო ბანკის წინაშე 200 ათასი მანეთის სესხის მიცემის შესახებ გლეხებისათვის დახმარების გასაწევათ ერთიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გადახდის საქმეში.

### ვენერიული საავადმყოფო გორში.

ამ დღეებში, ჯანმრთელობის კომისარიატი ხსნის გორის მაზრაში ვენერიულ საავადმყოფოს, სადაც ღარიბებს უწამლებენ უფასოთ.

---

# ახალი ამბები.

— **წითელი ფიცის მიღება.** 1902 წელში დაბადებულ წითელ არმიელთა წითელი ფიცის მიღება მოხდება ოქტომბრის დღესასწაულებზე.

— **მადათოვის კუნძულის გამშვენიერება.** ქალ. აღმასკომმა დაიწყო მტკვრის ნაწყვეტის ამოშრობა მადათოვის კუნძულთან. ნაწყვეტის ამოშრობა დამთავრდება რამდენიმე კვირაში.

— **მოზაიკურ ნაკეთებთა სახელოსნო.** ქალ. აღმასკომმა გადასცა მოქ. მეტეხელს 990 მანეთი ფლორენციის მოზაიკურ ნაკეთებთა ქარხნის მოსაწყობათ.

— **წერა-კითხვის უცოდინარი ხელოსნები.** წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლა დაამთავრა 60 ხელოსანმა, რომლებიც ამორიცხეს უცოდინართა სიიდან.

— **ბრძოლა კერძო წარმოებასთან.** თვითმშრომელთა საზოგადოებას განზრახვა აქვს დაარსოს სატრანსპორტო-საექსპედიციო კანტორა კერძო მწარმოებლებთა ბრძოლის მიზნით.

— **საბავშო სახლების შეკეთება.** ქალ. აღმასკომმა აღბულაღის მირზოევისეულ მამულებში მოთავსებულ საბავშო სახლების შესაკეთებლათ გადასდო 3000 მანეთი.

— **ადმინისტრატორი სასწავლებელში.** ქალ. აღმასკომმა დაუნიშნა სტიპენდია წალკის რაიაღმასკომის ყოფილ თავმჯდომარეს ამხ. ჯავახოვს.

— **ბრძოლა ციმბირის ჭირთან.** ქალ. აღმასკომმა გადასცა ვეტერინარულ სექციას 3.750 მანეთი ციმბირის ჭირის წინაალმდეგ საბრძოლველათ.

— **ლატარიის გათამაშება.** სოც. უზრუნველყოფის ლატარიის გათამაშება მოხდება 28 დეკემბერს.

— **კომუნარების სახლების სახელოსნო.** 26 კომუნარის სახელობის სახელოსნომ დაამზადა საწოლების საკმაო რიცხვი პარტიულ სკოლებისათვის.

— **ცხოველთა სავალდებულო დაზღვევა.** გადაწყდა ამ თავიდან ტფილისის მაზრაში შემოიღონ შინაურ ცხოველთა სავალდებულო დაზღვევა.

— **დახმარება ლენინგრადის პროლეტარიატს.** 6 ოქტომბერს კინო „ეთერის“ და „სოლეის“ შემოსავალი გაგზავნილ იქნება ლენინგრადის მუშების დასახმარებლად.

---

# წითელ არმიელთა წერილების შესახებ.

რედაქციას ხშირად მოდის სამხედრო კორესპონდენტებისაგან ცნობები წითელ-არმიელთა წერილების შესახებ. სჩივიან, რომ წერილების მიღება შეფერხებულიაო. იწერებიან აგრეთვე წერილების გახსნის და შიგ ჩანადების ამოღებაზე.

ერთს წითელ არმიელს დიდი ხანი არ მიუღია წერილი შინიდან. შემდეგ მამას კაცის ხელით მიუწვდინებია ბარათი და თან მოუწერია:

„რათ იწერები წერილი არ მომდის, ამას წინეთ შენმა ძმამ გამოგიგზავნა, შიგ 5 მანეთი ჩადო, მერე მეც გამოგიგზავნე: ერთი მანეთი იდო შიგ“.

წითელ-არმიელს არც წერილი მიუღია და არც ფული.

მომართა რედაქციას ზომები მიიღეთ, პრესამ ეგებ გვიშველოსო რასაკვირველია პრესა ბევრს დაგვეხმარება. მის საშუალებით შევსძლებთ ჩვენ გამოვასწოროთ შეცდომები და შეცოდებანი ფოსტის სამართველოს მიერ; პრესა დაგვეხმარება საკუთარ შეცდომების გამოსწორებაშიაც. ასეთები ჩვენ გვაქვს.

აი წითელ არმიელის განცხადება წერილის გახსნის და ფულის ამოღების შესახებ.

წერილის გახსნა ზოგ შემთხვევაში დაშვებულიც არის და საჭიროც. ვინ იცის რამდენი ოხერი და თავზე ხელ აღებული იწერება წერილებს საბჭოთა მთავრობის საწინააღმდეგოდ. თუ წერილი არ გავხსენით და არ გავიგეთ ამ რიგად მტრისა და მოყვრის ზრახვანი, მაშინ ხომ შეგვჭამენ ჩვენი მტრები?

რასაკვირველია, შეგვჭამენ.

და რომ არ შეგვჭამონ ამისათვის საჭიროა ზომების მიღება. ზომების მიღება კი წერილის გახსნაში და შინაარსის გაცნობაში გამოიხატება.

მხოლოდ წერილის გახსნა არ ნიშნავს იგი ღია დავსტოვოთ.

უნდა კვლავ დავხუროთ და დანიშნულებისამებრ გადავგზავნოთ.

რაც შეეხება ფულის გადაგზავნას (მოკითხვის) უბრალო წერილით— ეს თუ მეტი არა დანაშაულის ჩადენა არის სახელმწიფოს წინაშე.

ფულის გაგზავნა შეიძლება: ტელეგრაფით, ფულის ბარათით და წერილით. უკანასკნელ შემთხვევაში იგზავნება განსაზღვრული თანხა; წერილზე უეჭველად აღნიშნულ უნდა იქნეს „შიგ სძევს ამდენი და ამდენი მანეთი“. ასეთ შემთხვევებით ერთი გროშიც არ დაიკარგება.

თუ ვინიცობაა და დაგეკარგა მას აანაზღაურებს პატრონი ხაზინის ხარჯზე.

უბრალო წერილში კი ფული არ შეიძლება ჩადებულ იქნეს.

ფოსტის მოხელე ვალდებულია გასინჯოს კონვერტი და თუ შიგ ფული აღმოჩნდა ამოიღოს და ხაზინის სასარგებლოდ შეიტანოს.

სამწუხაროდ ეს არ ცოდნია ზოგიერთ ამხანაგებს. არ ცოდნიათ არც მათ მშობლებს.

ამისათვის საჭირო იქნება ყველა წითელ არმიელმა მისწეროს შინ ფულის გადმოგზავნის წესი. ხაზგასმით უნდა აღნიშნოს, რომ უბრალო წერილში ფულის ჩადება არამც თუ არ შეიძლება, აკრძალულიც არის.

რაც შეეხება წერილების დაბეგვრას ესეც ჩვეულებრივი მოვლენაა.

წითელ არმიელებს აქვთ ნება წერილების გაგზავნის და მიღების უფასოთ, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ თვითეულ ჩვენგანს შეუძლია წეროს რამდენიც უნდა და სურს იმდენი წეროს.

ამ მხრივ წერილების რიცხვი განსაზღვრულია.

დაბოლოს უნდა აღვნიშნოთ ის რომ წითელ არმიელის წერილებს ჩვენ დიდ ყურადღებას ვაქცევთ.

ყურადღებას ვაქცევთ არა იმიტომ, რომ ის ნახვის ნატვრის წერილია. არა, ჩვენ სულ სხვა შეხედულება გვაქვს წითელ არმიელის წერილზე.

საქმე ის არის, რომ ჩვენ არა ერთხელ და ორხელ აღგვინიშნავს ჩვენი გაზეთის ფურცლებზე, რომ წითელ არმიასა და სოფლის გლეხობის შორის მჭიდრო კავშირი უნდა არსებობდესო.

ამ კავშირისათვის გვაქვს შემოღებული ჩვენ შეფობა ამა თუ იმ სოფელზე.

ამავე მიზნით შემოვიღებთ მესოფლეობას.

მაგრამ გარდა მესოფლეობისა და შეფობისა არის სხვა გზაც; გზა არა ნაკლებ მნიშვნელოვანი.

ერთი ასეთთაგანი არის მიწერმოწერა. წითელ-არმიელი აბა მარტო ნახვის ნატვრას უნდა იწერებოდეს თავის წერილში არამედ უნდა უხსნიდეს თავის დედ-მამას, ძმებს, დებს, მეზობლებს და სხვებს საბჭოთა ხელისუფლების ავკარგზე.

ასეთ შემთხვევაში წერილებს დიდი მნიშვნელობა აქვთ.

სოფლიდან ჩამოსული ყმაწვილი, რომელიც წმინდა გიორგი კახორისას და მელისკარისას ევედრებოდა წამ და უწუმ ან საზოგადოთ წამდა სამას სამოცდა თუთხმეტი წმინდა გიორგი და მილიონჯერ უფრო მეტი სხვა წმინდანი, წითელ ყაზარმაში გამოიცვლება.

ის აქ გაიგებს, რომ ქვეყნიერების მმართვაში არაფერ შუაშია არ არსებული ღმერთი და ხატი.

ის გაიგებს, რომ ყოველივეს ბუნება განაგებს, გაიგებს რომ თუ მამა მისი და დედა მისი არ ყოფილიყო ერთ ღმერთს კი არა ათასსაც არ შეეძლო გაეჩინა იგი.

გაიგებს ყოველივე ამას და ცრუ მორწმუნეობასაც თავს დააღწევს.

მაგრამ ეს არ კმარა. საჭიროა ეს შეგნება და კაი კაცობა მან იმ სოფელს გადასცეს, საიდანაც თითონ წამოვიდა. ამის გადაცემა კი წერილების საშუალებით შეიძლება.

ერთი სიტყვით წითელ-არმიელების წერილებს ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა აქვს.

თუ რომელიმე ნაწილში თავის დროზე ვერ ღებულობენ ასეთებს ვსთხოვთ მოგვაწოდონ ცნობები ამის შესახებ.

ჩვენ მივიღებთ სათანადო ზომებს. მაგრამ ამისთვის საჭიროა არა ლითონი სიტყვა არამედ ფაქტი.

საჭიროა სულ ცოტა რამ: კონვერტი, რომლითაც წერილი მიიღო წითელ-არმიელმა უნდა გადმოგზავნილ იქნეს. იქ აღნიშნულ დროით ჩვენ გამოვარკვევთ არის ფოსტა დამნაშავე თუ არა წერილის დაგვიანებაში.

ამხ. სამხედრო კომისრებმა საჭიროა მეტი ყურადღება მიაქციონ ამ საკითხს.

შინაურ ამბები ეს ისეთი რამ არის, რომელიც ნემსის წვერივით იჩხვლიტება.

მის გამო მშფოთარე არის წითელი-არმიელი.

მშფოთარეს კი სამსახური არ ძალუძს.

ყურადღება წითელ-არმიელის წერილებს.

**პ.—ძე.**

ნ. ღ. ს. ც   ტირაჟი 1.500   სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. 3.   პასუხ-სმგებელი რედაქტორი—პ. პუხიძე